



"24 საათის" ფიქციური ნომერი

*2424

საბამოძიებო
კომისიის
სკანდალური სხდომა
A3



უკრაინისთვის ნატო-ს
წევრობის სამოქმედო
გეგმა
არააქტუალურია
A8



თბილისის სახანძრო
აკადემია ფლორენსიაში
A9



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

ადიარება შეკვეთით

სეპარატისტებმა პრეზიდენტებზე თავდასხმა თავის თავზე აიღეს

ნათია მსხილაძე

ოსმა სეპარატისტებმა საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟზე თავდასხმა აღიარეს. როგორც გაზეთ "კომერსანტი" საუბრისას ცხინვალის ინფორმაციის და ბეჭდვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამ აღნიშნა, ოსმა მესაზღვრეებმა ცეცხლი მას შემდეგ გახსნეს, რაც პრეზიდენტების კორტეჟი ბლოკ-პოსტს მიუახლოვდა. "პრეზიდენტების დაცვამ მესაზღვრეებს განუცხადა, რომ ახალგორში შესვლა სურდათ. მათ უპასუხეს, რომ შესვლა არ შეიძლებოდა. ერთი მანქანა პოსტის მიმართულებით რამდენიმე მეტრით წინ წავიდა, რასაც ავტომატიდან ჰაერში რამდენიმე გასროლა მოჰყვა," - აღნიშნა გაგლოევამ.

"კომერსანტი" იმ ფაქტსაც აღნიშნავს, რომ მანამდე მოსკოვამც და ცხინვალამც კატეგორიულად უარყვეს ცეცხლის გახსნა.

ბაზრქალაბა A2 გვარდუა



პოლონეთის პრეზიდენტი ინციდენტის ადგილზე.

საქართველოს ქალთა ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონია!

გერმანიის ქალაქ დრეზდენში დასრულდა საჭადრაკო ოლიმპიადა. ტურნირზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრები და ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. ბოლო ტურის წინ საქართველოს ნაკრები პოლონეთს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა. ქართველი მოჭადრაკეები სერბებს ხვდებოდნენ, პოლონეთი კი უკრაინის ძლიერ გუნდთან არკვევდა ურთიერთობას.

მობდა ისე, რომ ჩვენმა გუნდმა - 3:1 დაამარცხა სერბები, ხოლო უკრაინელებმა - 2.5:1.5 მოუგეს პოლონელებს. საბოლოო ჯამში საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებებს გუნდებს თანაბარი ქულები დაუგროვდათ, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის გამო პირველობა ქართველ მოჭადრაკეებს ერგო.

სერბებთან მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძემ ალისა მარიჩი დაამარცხა. ყაიმით დასრულდა პარტიები მეორე და მესამე დაფაზე. ნანა ძაგნიძე ნატაშა ბოიკოვიჩს დაუზავდა, ხოლო ლელა ჯავახიშვილი ანჯელინა სტოიაკოვიჩს. ჩვენმა სასახაროდ რთულ შეხვედრას წარმატებით გაართვა თავი სოფიკო ხუბაშვილმა, რომელმაც შესძლო ირინა ჩელუშკინას დამარცხება და ჩვენი გუნდის სოლიდური უპირატესობით გამარჯვება უზრუნ-



გადამწყვეტ ტურში მაია ჩიბურდანიძემ ალისა მარიჩი დაამარცხა.

ველყო - 3:1, რაც საბოლოო ჯამში საკმარისი აღმოჩნდა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ვულოცავთ ამ გა-

მარჯვებას საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებს. საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების ღირსებას

იცავდნენ: მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინიშვილი და სოფიკო ხუბაშვილი.

ვერსია - ანა პოლიტკოვსკაიას მკვლევარის შემკვეთი მოქმედი პოლიტიკოსია

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებით, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლევარის საქმის განხილვა 1 დეკემბერს უნდა გამართულიყო, მოულოდნელად პროცესი მოსამართლემ გუშინ დაიწყო.

ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაიას მკვლევარის გამოძიება მიიჩნევა, რომ მკვლევარის შემკვეთი ქვეყნის შიგნით მოქმედი პოლიტიკოსია.

როგორც რუსული მედიასაშუალებები იუწყებიან, ამის შესახებ ჟურნალისტებს ბრალდებულების ერთ-ერთმა ადვოკატმა მურად მუსაევიმ განუცხადა. ადვოკატის თქმით, საქმის მასალებში საუბარია მკვლევარის მოტივის შესახებ.

მოტივი არის სხვადასხვა პოლიტიკოსების საქმიანობის შესახებ პოლიტკოვსკაიას კრიტიკული და მათი დანაშაულებში მამხილებელი რეპორტაჟები, - განაცხადა მურად მუსაევიმ. მისივე თქმით, საქმის მასალებში, მართალია, მოტივზე საუბარია, თუმცა, ვინმე კონკრეტულ პირს გამოძიებას არ გამოუვლენია. არადა, როგორც ადვოკატი აცხადებს, გამოძიების მიმდინარეობისას რუსეთის გენერალურმა პრო-



მოსამართლემ პროცესი გახსნა, მაგრამ ჟურნალისტებისთვის შეზღუდვები მაინც დააწესა.

კურორმა განაცხადა, რომ: ეს ვილად ძლიერი და საშინელი რუსეთის საზღვრებს გარეთაა და მისი სურვილია რუსეთში დესტაბილიზაციის გამოწვევა“.

როგორც განსასჯელთა, ასევე, დაზარალებული მხარის ადვოკატები თვლიან, რომ პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნის 90 პროცენტი ვარაუდებზეა აგებული. ანა პოლიტკოვსკაიას ოჯახის ადვოკატები მიიჩნევენ, რომ, თუ სასამართლო პროცესზე მკვლევარის შემკვეთი არ დასახელდება, მაშინ პროცესის ჩატარებას აზრი არ აქვს.

ალსანიშნავია, რომ მოსამართლე ეგვიპტე ზუბოვმა გუშინ მესამე ახალი გადაწყვეტილება მიიღო - ანა პოლიტკოვსკაიას სასამართლო სხდომა გაიხსნა. ნაფიცი მსაჯული ეგვიპტე კოლესოვი კი, რომელმაც სკანდალური განცხადება გააკეთა, საქმეს ააცილეს.

საქმე ისაა, რომ გასულ კვირას მოსამართლემ სხდომის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო, მიტოვით, რომ ნაფიცი მსაჯულს პრესის ეზინი და არ სურთ დარბაზში გამოსვლა. მოგვიანებით, ეგვიპტე კოლესოვმა განაცხადა, რომ ნაფიცი მსა-

ჯულს პროცესის დახურვა არ მოუთხოვიათ. მისივე ინფორმაციით, სხდომის დაწყებამდე ნაფიცი მსაჯულს მივიდა მოსამართლის თანაშემწე, რომელმაც მათ მიუტანა განცხადება, სადაც ეწერა, რომ ნაფიცი მსაჯულს არ სურდათ პროცესზე დასწრება, რადგან ეზინოდათ მასმედიის. ეგვიპტე კოლესოვის ინფორმაციით, მსაჯულს განცხადებაზე ხელი არ მოუწერიათ, შეთანხმდნენ, რომ, თუ პრესა მუშაობაში ხელს შეუშლიდა, შემდეგ მიიღებდნენ სხდომის დახურვის გადაწყვეტილებას.

„ნაფიცი მსაჯულთა ყიური იდიოტურ სიტუაციაში აღმოჩნდა. გამოვიდა, რომ ჩვენ გვეშინია პრესის, იმ საზოგადოების, რომელსაც ჩვენ სასამართლოში წარმოვადგენთ,“ - განაცხადა კოლესოვმა, რომელმაც საკუთარ კანდიდატურას აცილება მისცა.

„არ მსურს ვიყო უსამართლო პროცესის მონაწილე,“ - ასეთი იყო კოლესოვის არგუმენტი.

მართალია, მოსამართლემ პროცესი გახსნა, მაგრამ ჟურნალისტებისთვის შეზღუდვები მაინც დააწესა - პროცესულური საკითხების განხილვისას პრესა დარბაზს დატოვებს.



**საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
აცხადებს კონკურსს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა
საადმინისტრაციო დაწესებულებების დირექტორთა შესარჩევ კონკურსში
მონაწილეობის მისაღებად**



კონკურსის მიზანი:

საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის შესარჩევი კონკურსი მიზნად ისახავს საადმინისტრაციო დაწესებულების მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების მქონე კანდიდატების შერჩევას, რომელთაც:

- გააზრებული აქვთ ბავშვზე ზრუნვის სისტემის მიმდინარე რეფორმა, ბავშვთა დენსტიტუციონალიზაციის პროცესის პრინციპები და ხელს შეუწყობენ სახელმწიფოს მის განხორციელებაში;
- აქვთ დაწესებულების მართვისათვის, მათ შორის პროექტების, ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- აქვთ საჯარო სამართლის, შრომის და ბავშვზე ზრუნვის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა;
- გააზრებული აქვთ პროფესიული ეთიკის ნორმები და მოქმედებს საყოველთაოდ აღიარებული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის და განსაკუთრებით ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით.

დირექტორობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- დირექტორობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:
- აქვს უმაღლესი განათლება;
- ფლობს კომპიუტერულ საოფისე პროგრამებს;
- აქვს არანაკლებ 1 წლის მუშაობის სტაჟი;
- არ მიუღწევია 65 წლის ასაკისათვის.
- დირექტორობის კანდიდატი სასურველია ფლობდეს უცხო ენას/ენებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საჭიროა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა და სამოტივაციო წერილი;
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/ების ასლი;
- ცნობა წინამართლობის შესახებ;
- ფოტოსურათი;
- ავტობიოგრაფია (არაუმეტეს ერთი დაბეჭდილი გვერდისა);
- სარეკომენდაციო წერილები. (არაუმეტეს სამისა, სავალდებულოა ერთი ყოფილი ან ამჟამინდელი დამქირავებლისაგან და ერთი კონკურსანტის პროფესიული უნარების მცოდნე ადამიანისაგან. სარეკომენდაციო წერილი უნდა მოიცავდეს რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაციას და ხელმოწერას).

ნორმატიული აქტები, რომელთა ცოდნა სავალდებულოა საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორისათვის:

კანონები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ;

კონკურსის ეტაპები:

კონკურსი შედგება ორი ეტაპისგან: 1. საბუთების გადარჩევა. საბუთების გადარჩევის შედეგად განისაზღვრება იმ პირთა ნუსხა, რომელთა მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია სრულყოფილია და შეესაბამება დირექტორობის კანდიდატისთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დაიშვებიან გასაუბრებაზე. 2. გასაუბრება.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადა:

2008 წლის 1 დეკემბერი

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე:

თბილისი, დ. უზნაძის ქ.52 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საკონტაქტო პირი: ლელა ფეიქრიშვილი, ტელ.: 43 88 74

სააპლიკაციო ფორმა და სხვა დანართები იხილეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.mes.gov.ge

ჩავესს სივრცხლის ბოლომდე პრეზიდენტობა სურს

ვენესუელას პრეზიდენტი უგო ჩავესის პარტია კვლავ აპირებს, დააყენოს საკითხი პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ვადების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ. როგორც ჩავესმა ორშაბათს პრესკონფერენციაზე განაცხადა, "ვენესუელის ერთიანი სოციალისტურ პარტიას" 2009 წელს ხელახლა შეუძლია კონსტიტუციური ცვლილებების საკითხის დაყენება.

ვენესუელას პრეზიდენტმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც არჩევნების საბოლოო შედეგები შეჯამდა და ცნობილი გახდა, რომ "ვენესუელის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ", რომლის ლიდერიც თავად ჩავესია, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

კვირას ვენესუელის ეროვნულმა საარჩევნო საბჭომ რეგიონული და მუნიციპალური არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა. ამ მონაცემების თანახმად, ჩავესის პარტიამ 22-დან 17 გუბერნატორის პოსტი მოიპოვა. ოპოზიციურმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს ნავთობ-მომპოვებელ შტატ სულიაში, განვითარებულ სამრეწველო შტატებში მირანდასა და კარაბობოში და აგრეთვე ტაჩირასა და ნუევა სპარტაში. ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის მერადაც ოპოზიციური პარტიის ლიდერი ანტონიო ლედესმა იქნა არჩეული.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების განუსაზღვრელი ვადით მინიჭების შესახებ პირველი საერთო ეროვნული რეფერენდუმი 2007 წლის დეკემბერში ჩატარდა. მაშინ საკონსტი-



უგო ჩავესის პარტიამ შესაძლოა, ახალი რეფერენდუმის ჩატარების წინადადება წამოაყენოს.

AFP - 2008

ტუციო ცვლილებას ქვეყნის მოსახლეობის 50,7 პროცენტმა არ დაუჭირა მხარი.

უგო ჩავესი კონსტიტუციაში, საერთო ჯამში, 69 შესწორების შეტანას ითხოვდა, მათ შორის - პრე-

ზიდენტად ერთი და იმავე ადამიანის განუსაზღვრელი რაოდენობით არჩევას, საპრეზიდენტო ვადის 6 წლიდან 7 წლამდე გაზრდას და სახელმწიფო მეთაურისთვის ტერიტორიული და მუნიციპალური ორ-

განობის ხელმძღვანელებისა და დედაქალაქის მერის დანიშვნის უფლების მინიჭებას.

"ეს ხალხის უფლებაა. ჩვენ შევხვდებით, როგორ გამოიყენებს ხალხი ამ უფლებას, როგორ არჩე-

ვანს გააკეთებს ქვეყანა რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში," - განაცხადა ჩავესმა კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩატარების გამო.

პრეზიდენტი ასევე აპირებს, რომ ვენესუელას ცენტრალურ ბანკს ავტონომია ჩამოართვას და მთავრობას დაუქვემდებაროს. ჩავესის გეგმებშია აგრეთვე მოქალაქეთა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების შეზღუდვისთვის უფლების მოპოვება საგანგებო მდგომარეობების დროს. იმავდროულად, ის აპირებს საარჩევნო ასაკობრივი ცენზის 18-დან 16 წლამდე დაწვეასაც.

ცნობისათვის - უგო ჩავესი ვენესუელის პრეზიდენტი 1998 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გახდა. 1999 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია და 2000 წელს ახალი საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც კვლავ ჩავესმა გაიმარჯვა. 2006 წელს ის კიდევ ერთხელ იქნა არჩეული პრეზიდენტად და მის უფლებამოსილებებს 2012 წელს ეწურება ვადა. მოქმედი კონსტიტუციით, ჩავესს მესამე ვადით არჩევის უფლება არ აქვს.

ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, რეგიონების უმრავლესობაში "ვენესუელის ერთიანი სოციალისტური პარტიის" გამარჯვება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საპრეზიდენტო პარტიის წამყვან როლზე მეტყველებს. შესაბამისად, თუ "სოციალისტები" ახალი რეფერენდუმის ჩატარების საკითხს დააყენებენ, შესაძლოა, საპრეზიდენტო ვადები შეიცვალოს.

ჰაველი დასავლეთს ადანაშაულებს

ჩეხეთის ექს-პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი დასავლეთს რუსეთთან მიმართებით დათმობებში ადანაშაულებს და ევროკავშირის რუსეთისაგან ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების სრულად დაცვის მოთხოვნას მოუწოდებს.

ამის შესახებ ჩეხეთის ექს-პრეზიდენტმა იტალიურ გაზეთ "კორიერე დელა სერა"-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. ჰაველის აზრით, დასავლეთის მიერ რუსეთთან მიმართებით გატარებული დათმობების პოლიტიკა საფრთხეს უპირველეს ყოვლისა, თავად დასავლეთს შეუქმნის.

"დასავლეთი უფრო ყურადღებით უნდა იყოს რუსეთისადმი და არ მისცეს მას დასავლეთის შეშინების საშუალება. რუსეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოა და მის ტრადიციაშია თავისი გავლენის ქვეშ მეზობლებისა და ნეიტრალური ქვეყნების მოქცევა, ისევე როგორც საქართველოში მოხდა, სხვადასხვა ფორმით ოკუპაციის განხორციელება," - აღნიშნავს ჰაველი.

მისივე თქმით, იგი მისი პრეზიდენტობის დროს აქტიურად უჭერდა მხარს ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებას და ახლაც მხარს უჭერს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. უკრაინის, არამედ ბელარუსის განვირინებისასაც - მას შემდეგ, რაც ქვეყანა ლუკაშენკოს რეჟიმისგან გათავისუფლდება.



ვაცლავ ჰაველი

AFP - 2008

ჰაველის შეფასებით, რუსეთის პრობლემა ის არის, რომ პოლიტიკური ცხოვრება დეგრადირებულია, ყოველგვარი ოპოზიციური აზრი იდევენება, ავტორიტარულ ხელისუფლებასა და ეკონომიკურ მაფიას შორის მყარი კავშირი არსებობს და რამდენიც არ უნდა ესაუბროს სიღვიო ბერლუსკონი აგარაკზე პუტინს იმის შესახებ, რომ რუსეთში 150 ჟურნალისტი პროფესიულ საქმიანობას შეენირა, სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები, ასევე კალინინგრადის ოლქში "ისკანდერების" განლაგებ-

ის თემაზე რუსეთში ცოტა რამ თუ შეიცვლება.

მან ყურადღება გაამახვილა მომავალი წლიდან ჩეხეთის ევროკავშირის თავმჯდომარეობაზე და იმედი გამოთქვა, რომ ჩეხეთის თავმჯდომარეობა ევროპელებსა და ამერიკელებში იმედგაცრუებას არ გამოიწვევს. "პოლიტიკოსების ამოცანაა, მამაცობა ეყოლონ და საზოგადოებას არაპოპულარული განწყობილებების აუცილებლობა აუხსნან," - განაცხადა "ხავერდოვანი" რევოლუციის ლიდერმა ვაცლავ ჰაველმა.

ს ს ო ვ ნ ა დავით მაზმანიშვილი

წარმოდგენილად ძნელია გაითავისო, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას მოულოდნელად გამოაკლდა დავით მაზმანიშვილი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი.

ბატონი დავით მაზმანიშვილი დაიბადა 1946 წლის 28 მაისს ქალაქ ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. 1969 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი "არქიტექტორის" სპეციალობით. 1963 წელს მუშაობდა ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილებაში, 1970-1980 წლებში იყო "საქალაქმშენსახპროექტი"-ს არქიტექტორი, 1980-89 წლებში - საქართველოს სსრ სახმშენის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი ინჟინერი, 1989-1994 წლებში "საქსახკომარქიტექტურის" სახელმწიფო არასაუნეყო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი ექსპერტი, 2003-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობ და გაზსადენების მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე, ხოლო 2006 წლის სექტემბრიდან - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

ბატონ დავით მაზმანიშვილი მუშაობდა ქ. სოხუმში სსრკ თავდაცვის სამინისტროს 500 ადგილიანი პანსიონატის, ქ. ცხინვალში საოლქო აღმასკომის ადმინისტრაციული შენობის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის, კურორტ წყალტუბოს ბალნეოზონაში სამკურნალო კომპლექსის, ქ. ხაშურისა და კურორტ სურამის განვითარების ერთიანი გენ-გეგმის, ქ. საგარეჯოში კულტურის სახლისა და კერამიკული კომბინატის, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალებისა და სხვათა პროექტირებაზე.

იგი იყო მაღალკვალიფიციური და განათლებული სპეციალისტი, მუშაობაში მეტად დისციპლინირებული, უაღრესად მომთხოვნი როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე თანამშრომლების მიმართ. ყველგან, სადაც კი მას უშუშავია, დატოვა თავისი ღრმა კვალი, როგორც გულსისხიერმა, ერთუფლმა, განათლებულმა, პროფესიონალმა და საქმისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოჩეულმა პიროვნებამ.

წავიდა ჩვენგან დიდი ცოდნის, გამოცდილებისა და ინტელექტის მქონე ადამიანი, კარგი ქართველი, კეთილი მეგობარი, კოლეგა, კარგი მეუღლე და საოცრად მოსიყვარულე ადამიანი, რომლის სახით საიმედო დასაყრდენი დააკლდა ყველას.

გვეჯერა, რომ იგი საუკეთესო მაგალითად დარჩება ჩვენს გულეში. ნათელი ეფინოს მის სულს.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

მედვედვის ლათინოამერიკული ტურნე

უცხოური პრესის მიმოხილვა

24-28 ნოემბერი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დმიტრი მედვედვის ლათინოამერიკული ტურნე; რუსეთის პირველი პირი სამუშაო ვიზიტით პერუს, ბრაზილიას, ვენესუელასა და კუბას მოინახულებს; უცხოური პრესის თანახმად, ოფიციალურ მოსკოვს არა მარტო სავაჭრო კავშირების გაფართოება სურს. რუსეთი "ცივი ომისდროინდელი" მდგომარეობის აღდგენასაც არ ერიდება - რეგიონში სამხედრო მანევრების ხარჯზე შეერთებული შტატების გალიზიანებას, მისი მეზობლებისთვის იარაღის მიყიდვასა და მათთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

ამერიკული გამოცემა "Christian Science Monitor"-ის თანახმად, ლათინურ ამერიკაში მედვედვის ვიზიტი შემაშფოთებელია, რადგან კვლავ გაძლიერებული რუსეთის მიზანს "ცივი ომის" დარად ამერიკის შეერთებული შტატების სიახლოვეს თავისი ძალების განთავსება წარმოადგენს. შუშფოთებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ მედვედვის ვიზიტი ვენესუელის სანაპიროსთან მიმდინარე სამხედრო-საზღვაო ფლოტის წვრთნებს ემთხვევა. საყურადღებოა ასევე ოფიციალური მოსკოვის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ვენესუელას ბირთვული რეაქტორის მშენებლობაში დაეხმარება.

მხარეთა განცხადებების მიუხედავად, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათი მთავარი ამოცანა ეკონომიკური თანამშრომლობაა, გეოპოლიტიკის ელემენტებიც თვალსაჩინოა, - წერს გამოცემა. ლათინურ ამერიკაში დმიტრი მედვედვის სამუშაო ვიზიტი შეერთებული შტატებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედებების გამო ჭკუის სწავლების მცდელობაც არის და იმავდროულად ჩავესის მსგავსი ლიდერებისთვის შანსის მიცემაც მსოფლიო პოლიტიკის ბალანსის შესაცვლელად - რა თქმა უნდა, არა ვაშინგტონის სასარგებლოდ. უგო ჩავესი კი რუს კოლეგას ლათინურ ამერიკაში ფართოდ უღებებს კარს - განსაკუთრებით, იარაღით ვაჭრობის სფეროში. გამოცემის აზრ-



AFP - 2008

ით, ამგვარი ქცევა სხვა არაფერია, თუ არა გამოწვევა შეერთებული შტატებისა და მისი ახლად არჩეული პრეზიდენტისთვის. ასევე ძველი სავაჭრო და სამხედრო კავშირების აღდგენად განიხილება მედვედვის ვიზიტი კუბაზე. მოსკოვის მტკიცებას, რომ მას ლათინური ამერიკა მხოლოდ საქმიანი მოსაზრებებით აინტერესებს, აბათილებს ციტატა მოსკოვის სახელმწიფო დიპლომატიური აკადემიის რექტორის მოადგილე ევგენი ბაუზანოვის ინტერვიუდან: "ასეთია ჩვენი შეკავებული რეაქცია ჩვენს რეგიონში ამერიკულ შეგვემონიაზე". მედვედვის ვოიაჟს ანალოგიურ შეფასებას აძლევს გაელენიანი ბრიტანული გამოცემა "თაიმსი". "კარბის ყურეში რუსული მანევრები შეერთებული შტატებისთვის გამოწვევაა. მედვედვი, სავარაუდოდ, უგო ჩავესის რეჟიმთან ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერს ხელს." - წერს "თაიმსი". შეერთებული შტატების სიახლოვეს მიმდინარე სამხედრო-საზღვაო სწავლება ოფიციალური ვაშინგტონისადმი აგებული დამოკიდებულების დემონსტრირებას ისახავს მიზნად, მით უფრო, რომ უგო ჩავესის გამოკვეთილმა ანტიამერიკანიზმმა ხელი შეუწყო მოსკოვსა და კარაკასს შორის ეკონომიკური და სამხედრო კავშირების განვითარებას.

მედვედვიმ გადანყვიტა, "ცივი ომის" მდგომარეობას დაუბრუნდეს, რასაც ლათინურ ამერიკაში რუსული გავლენის გაფართოების მცდელობები ადასტურებს, - წერს "თაიმსი". ლიმაში გამართულ სამიტზე სიტყვით გამოსვლისას დმიტრი მედვედვიმ განაცხადა, რომ მოვიდა დრო "ძლიერი და სერიოზული" ურთიერთობების აღდგენისა, როგორც ამ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ჰქონდა. სამხრეთ ამერიკაში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტს სტატია მიუძღვნა გერმანულმა გაზეთმა "სტანდარტმა". რუსეთის ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ და შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების დაძაბვამ ოფიციალურ მოსკო-

ვს პრიორიტეტების გადახედვისკენ უბიძგა, - წერს გამოცემა. მრავალი ექსპერტის აზრით, კრემლს რუსეთისა და ლათინური ამერიკის თანამშრომლობის გაღრმავების გეგმებით სურს, ოფიციალურ ვაშინგტონს დაუმტკიცოს, რომ ძალუძს ამერიკის ცხვირწინ ისეთივე წარმატებით იმოქმედოს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები მოქმედებს რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებში. თუმცა, მედვედვის პოლიტიკური მისია შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის გამო რთულდება: ლათინური ამერიკის ქვეყნები დიდ იმედებს ამყარებენ ობამასთან თანამშრომლობაზე და სულაც არ სურთ ამ შანსის ხელიდან გაშვება. თანაც, შეუძლებელია ფინანსურ კრიზისს ამბიციურ პროექტებში კორექტივები არ შეეტანა. ანალიტიკოსთა შეფასებით, სამხრეთ ამერიკაში გაზსადენის მშენებლობა ალბათ რამდენიმე წლით გადაიდება. ეს "გაზპრომის" ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. შავ ოქროზე ფასის ვარდნის გამო ასევე შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდეს რუსული იარაღის მიწოდება, რომელიც ვენესუელის ნავთობის ლიდერულებაზეა დამოკიდებული. სტატის ავტორის აზრით, რუსულ კონცერნს რეგიონში კონკურენციას ჩინური გაუნევეს, რადგან ჩინეთი არ არის დამოკიდებული ნავთობის ფასის ცვალებადობაზე და მსოფლიოში უმსხვილეს სავალუტო რეზერვს ფლობს.

ესპანური გამოცემა "პაისი" კი წერს, რომ სამხრეთ ამერიკაში მედვედვის ვიზიტის ფარგლებში ხელმწიფო დოკუმენტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პერუში რუსული ვეტერანების სარემონტო და მომსახურების სააქქროს გახსნის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება. მეგობრული დამოკიდებულების სადემონსტრაციოდ პერუს პრეზიდენტმა გარსიამ რუსეთსა და პერუს შორის საქონელბრუნვის გაზრდის იმედი გამოთქვა და რუსული კომპანიები თანამშრომლობისთვის მიიწვია.

უკრაინისთვის ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმა არააქტუალურია

აშშ კიევს გამარტივებულ გზებს სთავაზობს

ვაშინგტონის აზრით, უკრაინას უკვე ახლა შეუძლია, გახდეს ნატო-ს წევრი. ამიტომ უკრაინისთვის ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმის (მაპ-ის) მინიჭების საკითხი "არააქტუალური" გახლავთ, - განაცხადა უკრაინაში აშშ-ს ელჩმა უილიამ ტილორმა.

მისი თქმით, სავარაუდოდ, ვაშინგტონი შეეცდება მოკავშირეების დარწმუნებას, რომ კიევს წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭება არ დასჭირდება და ალიანსთან მისი მიერთება სხვა გზით მოხდება. "წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭების მთელი ეს პროცესი უკვე არააქტუალურია. ის იმდენად პოლიტიზებული და ურთიერთგამომრიცხავია, რომ შესაძლოა, ღირდეს მასზე უარის თქმა. შემდეგ ეტაპზე გადასვლის ანუ ალიანსში განწევრიანების სხვა გზებიც არსებობს," - განაცხადა ტილორმა.

ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე უკრაინის გენშტაბის ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსმა ბორის კრემენეცკიმ



უილიამ ტილორი.

განაცხადა, რომ მაპ-ის მინიჭების საკითხი წმინდად ტექნიკურ ხასიათს ატარებს. "საკითხი ისე კი არ დგას, გახდება თუ არა უკრაინა ნატო-ს წევრი, არამედ - თუ როდის გახდება," - აღნიშნა მან. განსხვავებული პოზიცია აქვს უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს. ბრიტანულ გაზეთ "ტაიმსთან" ინტერვიუში მან ნატო-ს წევრებს, რუსეთის ზეწოლის მიუხედავად, მისი ქვეყნისთვის შესაბამისი გეგმის მინიჭებისკენ მოუწოდა. იუშჩენკოს თქმით, კიევი ეცდება, რომ უკრაინისთვის მაპ-ის მინიჭების საკითხი ბრიუსელში 2-3 დეკემბერს დაგეგმილ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე განიხილოს. აშშ-ს ელჩის თქმით, ალიანსის რამდენიმე წევრმა გარკვევით მიანიშნა, რომ უკრაინა და საქართველო დეკემბერში მაპ-ს ვერ მიიღებენ, თუმცა მან იქვე დასძინა, რომ ამ ქვეყნებს სხვა გზითაც შეუძლიათ ნატო-ში გაწევრიანება.

"პოლონეთს, უნგრეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკას წევრობის სამოქმედო გეგმა საერთოდ არ ჰქონიათ. ისინი ალიანსს მაშინ შეუერთდნენ, როდესაც ნატო-ს კრიტერიუმები დააკმაყოფილეს," - აღნიშნა ელჩმა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში უკრაინაში წევრობის სამოქმედო გეგმის გამო ბევრი მითქმამოთქმა იყო. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვასილი კირილიჩმა განაცხადა, რომ მისი უწყება არ აპირებს დეკემბრის შეხვედრის შედეგების პროგნოზირებას. მისი თქმით, ბრიუსელში უკრაინა წარმოადგენს ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარა მან ბუქარესტის სამიტის შემდეგ. "სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიეცემა შეფასება იმას, თუ რამდენად წარმატებულად გაართვა თავი უკრაინამ დაკისრებულ ამოცანებს ბუქარესტის სამიტის შემდეგ," - განაცხადა კირილიჩმა.

განცხადება აუქციონის ჩატარების თაობაზე

სსიპ „საფინანსო სააგენტო“ 2008 წლის 9 დეკემბერს 1200 სათბურ აგარების საჯარო აუქციონის სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე, ქონებას წარმოადგენს ავტომობილები.

Table with columns: №, დასახელება, სსიპ-ს ნომერი, აღწერილობა, განთავსების ადგილი, საწვინი ფასი (ლარი), ზირი (ლარი). Contains 19 rows of vehicle auction details.

Table with columns: №, დასახელება, სსიპ-ს ნომერი, აღწერილობა, განთავსების ადგილი, საწვინი ფასი (ლარი), ზირი (ლარი). Contains 13 rows of vehicle auction details.

აუქციონის მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ „საფინანსო სააგენტოს“ 2008 წლის 8 დეკემბრის 1700 სათბურ შენახვის მისამართზე: პ. იაშვილის ქ. №4.

განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ; ბ) ლოტზე (ან ლოტებზე) მოთხოვნას; გ) პარამეტრები თანხის გადახდის დასადასტურებლად დასადასტურებლად; დ) პარამეტრები დასადასტურებლად საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილს. თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით;

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია აცხადებს

გაზეთ "24 საათი"-ს 2008 წლის 20 ნოემბრის №260 ნომერში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში 19 დეკემბრის აქციონის ნატარების შესახებ შეტანილია ცვლილება, კერძოდ:

4. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების დიორის მიღები, კერძოდ:

№	ადგილმდებარეობა	დიამეტრი (მმ)	სიგრძე (მ)	საწყისი სპრივაციის ტანხა(დარბში)	"ბუ"	ბიჯი
1	სოფ. განთიადი	500	180	5940	297	100
2	სოფ. განთიადი	600	276	13455	673	200
3	სოფ. განთიადი	173	1011	11173	558	200
4	სოფ. განთიადი	50	680	4080	204	100
5	სოფ. ვაჭარეთი	400	14000	336000	16800	1000

ბანცხადება ტენდერის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასაზღვრო პოლიციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“-ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყდა მიმდინარე წლის 19 ნოემბერს გაზეთ „24 საათი“ გამოცხადებული ღია ტენდერი „პიკაპი“-ს ტიპის მაღალი გამავლობის ავტომობილების შესყიდვაზე.

სატენდერო კომისია

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დამამუშავებელი მუშაკების შერჩევით

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დედაამინის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე შესარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო 2008 წლის 25 დეკემბერს და დასრულდება 2009 წლის 24 იანვარს.

არჩევნები ჩატარდება 2009 წლის 26 იანვარს.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. პირადობის მოწმობის ასლი
2. 1 ფოტოსურათი
3. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი
4. მოკლე სამეცნიერო ბიოგრაფია
5. ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების სია

ცვლილება სატენდერო ბანცხადებაში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

2008 წლის 25 ნოემბრის „24 საათი“-ს N263 ნომერში გამოქვეყნებულ სატენდერო ბანცხადებაში იაპონიის მთავრობის არასაპროექტო გრანტის ფარგლებში შესყიდული საქონლის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვაზე (საიდენტიფიკაციო ნომერი: N MDF/NCB-01-2008)

შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„7. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში 2008 წლის 15 დეკემბრის 12:00 საათამდე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

8. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, 2008 წლის 15 დეკემბრის 12:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia Request for Expression of Interest

GEORGIA

Supervision of construction works for Sveneti-Ruisi section (km 80-km 95) and supervision of rehabilitation of Rikoti tunnel (km 143) of E-60 Highway Third East West Highway Improvement Project

Georgia has intended to apply for financing from the World Bank towards the costs of the Third East West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia (RDMED) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: "Supervision of construction works for Sveneti-Ruisi section (km80-km95) of E-60 Highway" and supervision of rehabilitation of Rikoti tunnel. Interested companies shall provide information demonstrating that they are experienced enough to perform supervision of construction works and CVs of the personnel, who will supposedly be involved in supervision process and

have relevant qualification and experience. Consultants may form sub-consultancy to enhance their qualifications. Expression of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

A consultant will be selected in accordance with the procedures set out in "Quality and Cost-based Selection" section II of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (May 2004 edition).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 17:00 hours. Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than 15 December, 2008, 17:00 hours.

Name: Shakro Khalvashi

Address: 0160, Al. Kazbegi Avenue N12, Tbilisi, Georgia

Tel: +995-32-37-05-08 ext. 215

Fax: +995-32-313-034

Email: info@georoad.ge copy to: roaddepirakli@yahoo.com

Web.Site: www.georoad.ge

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტი

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

E-60 ავტომარშალზე სვენეთი-რუისის მონაკვეთის (კმ80-კმ95) მშენებლობის და რიკოტის გვირაბის (კმ 143) რეაბილიტაციის ზედამხედველობა

აღმოსავლეთ დასავლეთ ავტომარშალის გაუმჯობესების მესამე პროექტი

საქართველო მიიღებს მსოფლიო ბანკის კრედიტს აღმოსავლეთ დასავლეთ ავტომარშალის გაუმჯობესების მესამე პროექტისათვის და აღნიშნული კრედიტის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება საქონლის, სამუშაოების და პროექტთან დაკავშირებული მომსახურებისათვის და საკონსულტაციო მომსახურებისათვის, რაც ერთობლივად დაფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ინვესტ უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი მომსახურების შესასრულებლად: E-60 ავტომარშალზე სვენეთი-რუისის მონაკვეთის (კმ80-კმ95) მშენებლობის და რიკოტის გვირაბის (კმ 143) რეაბილიტაციის ზედამხედველობა.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ საჭირო დოკუმენტების დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ ისინი არიან საკმაოდ გამოცდილი მშენებლობის ზედამხედველობის შესრულებაში და წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნულ მომსახურებაში და გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება. კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს ინფორმაციებს კომპანიის საერთო გამოცდილების, ანალოგიურ პროექტებზე კომპანიის გამოცდილების და ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა მოხდება „მსოფლიო ბანკის სესხის ამლების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება“ 2004 წლის მაისის გამოცემაში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, კვალიფიკაციისა და ფასის მიხედვით შერჩევის მეთოდით.

წინადადებები (ელექტრონული ან ბეჭდური) წარმოდგენის ბოლო ვადაა 17:00 სთ, 2008 წლის 15 დეკემბერი. დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ დაწერილობითი ინფორმაციის მიღება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 17:00-მდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

სავტომობილო გზების დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, IV სართული, ოთახი 402

ბ-ნი შაქრო ხალვაში, შესყიდვების სამმართველოს უფროსი

ალ ყაზბეგის გამზირი N12

თბილისი, საქართველო 0160

ტელ: +995-32 37 05 08/2- 15

ფაქსი: +995-32 31 30 34

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge, ასლი: roaddepirakli@yahoo.com

ვებ-გვარდი: www.georoad.ge

უნაბირა სანავარა TGA 18.430 4x2 BLS

ემისია: ევრო 3
სიმძლავრე: 430 სხ.ძ.
კაბინა: XXL. მაღალი ჭერი
ძრავი: D2066LF01 Common-Rail
გადასამტავი კოლოფი: ZF 16 S 222 DD ინტარტარით
კრუიზკონტროლი, კონდიციონერი,
სრული ელექტრო პაკეტი,
დამოუკიდებელი გათბობის სისტემა
ბარანტი: 2 წელი ან 200,000 კმ



**მიწოდების ვადა
1 დღე**



ტანტინი ნ/მისაგებელი Schmitz Cargobull

მოცულობა: 93 მ³
დაკიდების სისტემა: პნევმატური
ბარანტი: 1 წელი

**საესპანური ფასდაკლება
Man Nutzfahrzeuge AG-გან**

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: info@ge.man-mn.com
☎ 244-744, 📠 895 225-828 📠 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

შეცდომის გასწორება

2008 წლის 25 ნოემბერს გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ აუქციონში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი:

ლოტი N 34 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მინის ნაკვეთის მისამართი - დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
(მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N72/14/13/123).
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მინის ნაკვეთის ფართობი კვ.მ - 1628 კვ.მ. მინის ნაკვეთი;
კომისიის მიერ დადგენილი მინის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მინის ნაკვეთზე - 300 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 50 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე“ განისაზღვროს 152 160 ლარით. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური - 50 ლარი.

ლოტი N 73 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მიწის ნაკვეთის მისამართი - გზატკეცილი კახეთი, ლილოს ბაზრობის და მდინარე ლოჭინს შორის მდებარე მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01/19/13/03/002).
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 2000 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის ფუნქცია - სამშენებლო განვითარება შერეული ზონის ფუნქციით.
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მინის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მინის ნაკვეთზე - 70 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 10 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე“ განისაზღვროს 56 000 ლარით. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 100 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მიწის ნაკვეთის მისამართი - დასახლება მუხიანი, არსებული ავტოლა 1-ში, შესასვლელი გზის მიმდებარე მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01/11/17/04/025).
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 2244 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის ფუნქცია - შერეული ზონის ფუნქციით.
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მინის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მინის ნაკვეთზე - 190 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 10 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე“ განისაზღვროს 170 544 ლარით. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2008 წლის 25 ნოემბრის 11:00 საათიდან 2008 წლის 24 დეკემბრის 17:00 საათამდე, აუქციონი გაიმართება 2008 წლის 24 დეკემბერს 18:00 საათზე



თვალის მიკროქირურგიის ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს კლინიკა "ოფთალმიჯი"

ერთდღიანი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოქრავი საოპერაციო
ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული
მულტიფოკალური
ბროლი Acrysof-ReSTOR
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე
ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



HIDROMEK
www.hidromek.com

AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENEBELI, Tbilisi, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815